

საქართველოს კანონი

„ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის
სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 33, 31 ივლისი, 1997 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ტესტირების (საგამოცდო) ცენტრი ვალდებულია გზისთვის ვარგისობის ტესტირებაზე არ გაატაროს ის ავტომოტოტრანსპორტი, რომლის მფლობელსაც გაფორმებული არ აქვს შესაბამისი დაზღვევა.“

2. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. მოთხოვნა რეგრესის წესით წარედგინებათ აგრეთვე პირებს, რომლებიც არაკანონიერად ფლობდნენ ავტომოტოტრანსპორტს, აგრეთვე გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების პასუხისმგებელ ორგანოს, თუ დადასტურდა გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების წესების დარღვევით გატარების ფაქტი.“

3. 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. პასუხისმგებელი პირის დადგენის შემთხვევაში, ბიურო უფლებამოსილია გაცემული თანხის რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს უშუალოდ ზიანის მიმყენებელ პასუხისმგებელ პირს, ასევე გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების პასუხისმგებელ ორგანოს, თუ დადასტურდა ავტომოტოტრანსპორტის გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების წესების დარღვევით გატარების ფაქტი.“

4. 25-ე მუხლის:
ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. 2004 წლის 13 სექტემბრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე ამ კანონის მოქმედება გავრცელდეს მხოლოდ იმ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე:
ა) რომლებითაც ხორციელდება „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული გადაყვანა/ გადაზიდვები;
ბ) რომელთაც 3 ტონა და მეტი ტვირთამწეობა გააჩნია.“

ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„9. 2004 წლის 13 სექტემბრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის:
ა) „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება შეჩერდეს;
ბ) „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს მხოლოდ იმ დაუზღვეველ ავტომოტოტრანსპორტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, რომლებიც ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ექვემდებარებიან სავალდებულო დაზღვევას. სხვა შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება წარმოებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი